საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კოლეგიის თავმჯდომარე: ია გაბედავა

კოლეგიის წევრი: არჩილ ჩოფიკაშვილი

კოლეგიის წევრი: ბესარიონ ბოხაშვილი

საჩივრის ავტორი: თ. ბ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 12.03.2021

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: № 009/21

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ფ. მ.-ის მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ფ. მ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2021 წლის 12 მარტს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა თ. ბ.-მა და მოითხოვა ადვოკატ ფ. მ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საჩივრის ავტორის განცხადებით, მის საკუთრებაში არსებული კომერციული ფართი 2019 წლიდან ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე გადასცა „ბ. ე. ც.-ს“.

1.2 საჩივრის ავტორსა და რ. კ.-ს შორის მიმდინარეობს დავა კომერციული ფართების განაწილებაზე სასამართლოში. 2019 წლიდან რ. კ.-მა არაერთხელ მიმართა საჯარო რეესტრს და მოითხოვა ფართების იდენტიფიკაცია, რაზეც მიიღო უარი, აღნიშნული გაასაჩივრა, თუმცა თბილისის საქალაქო სასამართლოში დავა თ. ბ.-ის სასარგებლოდ დასრულდა, რაც აპელაციის წესით გაასაჩივრა. საქმის განხილვის აღნიშნულ ეტაპზე რ. კ.-ის ადვოკატი ფ. მ. სხვა თანმხლებ პირებთან ერთად „უკანონოდ შეიჭრა“ თ. ბ.-ის ფართში და ამტკიცებდა, რომ რ. კ. წლების წინ მოატყუეს და თითქოს მისი ფართი მდებარეობს არა იქ, რაც მან წლების წინ შეიძინა, არამედ „წინა მხარეს სურს ამ ფართის მითვისება“.

1.3 მომჩივანის განცხადებით, რ. კ. გამიზნულად მალავს, რომ თავდაპირველი პროექტი შეიცვალა და გაუქმდა შესასვლელი და შესაძლებელი გახდა ამ ტერიტორიაზე განთავსებულიყო დამატებითი ფართები. კომერციული ფართების დამატებამ შეცვალა პროექტი და გადანაწილდა სხვაგვარად. მომჩივანის განცხადებით, თუ ზემოაღნიშნულის შესახებ რ. კ.-ს არ ჰქონდა ინფორმაცია, შეუძლია ედავოს იმ ადამიანს, ვისგანაც შეიძინა ეს ფართები.

1.4 მომჩივანის განცხადებით, ადვოკატი ფ. მ. და მისი თანხმლები პირები შანტაჟის გზით ახორციელებდნენ „ბ. ე. ც.-ს“ კლიენტების დაშინებას, მიუთითებდნენ დაეტოვებინათ ტერიტორია. მომჩივანის განცხადებით, ადგილზე იმყოფებოდა საპატრულო ეკიპაჟიც, თუმცა ადვოკატი ფ. მ. მაინც აგრძელებდა პროვოკაციულ ქმედებებს და ტერიტორიას არ ტოვებდა.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2021 წლის 11 თებერვალს ის მივიდა თავის ფართში, სადაც დახვდა ადვოკატი ფ. მ. კ. ა.-თან ერთად, რომელიც ასევე აცხადებდა რომ იყო ადვოკატი. მას თან ჰქონდა ფართში შესასვლელი კარების ახალი საკეტი, რისი მონტაჟის უფლება მომჩივანმა არ მისცა. ადვოკატი ფ. მ. აცხადებდა, რომ იმ შემთხვევაში დატოვებდა ტერიტორიას, თუ მას გადაუხდიდნენ 800 ლარს.

1.6 სიტუაციის განმუხტვის მიზნით, „„ბ. ე. ც.-მა“ ადვოკატ ფ. მ.-ს გადასცა 800 ლარი ხელწერილის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც, 2021 წლის 11 მარტამდე ის და მისი თანხმლები პირველი არ უნდა მისულიყვნენ ადგილზე და ოფისს უნდა მისცემოდა მუშაობის შესაძლებლობა.

1.7 მომჩივანის განმარტებით, იმისთვის რომ ოფისმა იმუშაოს დღემდე იხდიან სოლიდურ თანხას, რაც არის ადვოკატ ფ. მ.-ის მიერ დაშინების და შანტაჟის შედეგი, „რეკეტი და ფულის გამოძალვა“. საჩივრის ავტორმა ადვოკატ ფ. მ.-ის ქმედებების გამო აგრეთვე მიმართა პროკურატურას, კერძოდ, თბილისის პოლიციის დეპარტამენტის --- მთავარ სამმართველოს. ადვოკატის მხრიდან სიტყვიერი შეურაცხყოფის და „უკანონო შეჭრის“ თაობაზე მიმდინარეობს გამოძიება.

1.8 საჩივრის ავტორის განცხადებით, ის არ ეთანხმება ადვოკატს რომ 5 წლის განმავლობაში ჰქონდა ფართი გაქირავებული, რადგან ქირავნობის ხელშეკრულება 2019 წლიდან შევიდა ძალაში. მომჩივანის განმარტებით, ის ითხოვს კომისიის რეაგირებას ადვოკატ ფ. მ.-ის მიერ განხორციელებულ ქმედებებზე, მათ შორის მის მიერ თანხის უსაფუძვლოდ გამოძალვაზე.

2. მოწმე ა. ა.-ის განმარტება:

2.1 მოწმე ა. ა.-მა 2021 წლის 14 აპრილს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე დისტანციურ ფორმატში, ელექტრონული ფორმატის „ზუმის“ მეშვეობით წარმოადგინა ახსნა-განმარტება, რომლის მიხედვითაც, ის არის თ. ბ.-ის მეუღლე. მოწმის განცხადებით, ის იმყოფებოდა მათ კომერციულ ფართში, სადაც სამჯერ სხვა თანმხლებ პირებთან ერთად შეიჭრა ადვოკატი ფ. მ., მათ „ჩამოანგრიეს ოფისის კედლები“.

2.2 ადვოკატ ფ. მ.-ის მიერ ფართში მეორე „შეჭრის“ დროს გაფორმდა ხელწერილი იმის თაობაზე, რომ ერთი თვის განმავლობაში ის თანმხლებ პირებთან ერთად აღარ გამოცხადდებოდა ტერიტორიაზე და არ შეუშლიდა ხელს „ბ. ე. ც.-ის“ სამუშაო პროცესს.

2.3 ადვოკატი ფ. მ. ტერიტორიას არ ტოვებდა მთელი ღამის განმავლობაში და ა. ა.-ს ეუბნებოდა, რომ არ უჩივლებდა, რადგან არ ფლობდნენ ქონებას, ამასთან მიმართავდა შემდეგი ფრაზებით: „უბედურო, საწყალო“, თ. ბ.-ის მიმართა შემდეგი ფრაზით „ზვიგენი ხარ“. მოწმის განცხადებით, ტერიტორიაზე გამოცხადდა საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი, თუმცა განმარტა, რომ ფართთან დაკავშირებით დავაში ვერ ჩაერეოდა, რადგან ამის უფლება არ ჰქონდა და დანაშაულის შემთხვევაში ექნებოდა რეაგირება. მოწმის განცხადებით, მას აქვს ვიდეოჩანაწერები რითიც დასტურდება ადვოკატ ფ. მ.-ის ქმედებები.

3. მოწმე ნ. ყ.-ის განმარტება:

3.1 მოწმე ნ. ყ.-მა 2021 წლის 14 აპრილს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე დისტანციურ ფორმატში, ელექტრონული ფორმატის „ზუმის“ მეშვეობით წარმოადგინა ახსნა-განმარტება, რომლის მიხედვითაც, თ. ბ. არის მისი მეგობარი და სადავო ტერიტორიაზე გამოცხადდა მის მხარდასაჭერად, სადაც აგრეთვე იმყოფებოდა საჩივრის ავტორის მეუღლეც. მოწმის განმარტებით, ადვოკატი ფ. მ. სხვა პირებთან ერთად ძალადობრივი გზით შეიჭრა თ. ბ.-ის კუთვნილ ფართში, სადაც განთავსებული იყო „ბ. ე. ც.“. ადვოკატი ფ. მ. ცენტრის საქმიანობას უშლიდა ხელს. ადგილზე გამოცხადდა საპატრულო პოლიციის ეკიპაჟიც, რომელიც გამოიძახა ადვოკატმა ფ. მ.-მ და აცხადებდა „დაცვა დამიყენეთო“. ნ. ყ.-მა ადვოკატს განუცხადა, რომ მას არავინ ეხებოდა და რისთვის სჭირდებოდა დაცვა.

3.2 მოწმის განმარტებით, თ. ბ.-ის ადვოკატმა ფ. მ.-მ მიმართა შეურაცხმყოფელი ფრაზები: „სპილო ხარ“, მარტო რქა ხარ“, სქელკანიანი ხარ“, „შე რა ქალი ხარ, ოთკუთხედი“. მოწმის განმარტებით, მას არ აქვს აღნიშნულის დამადასტურებელი ჩანაწერი, თუმცა როგორც მან იცის კონფლიქტის ამსახველი ჩანაწერი თ. ბ.-ის მეუღლეს აქვს. მოწმის განმარტებით, მისთვის უცნობია საპატრულო პოლიციის ეკიპაჟის მიერ შედგენილ ოქმში აისახა თუ არა ადვოკატის მიერ თ. ბ.-ისთვის მიყენებული შეურაცხყმოფელი ფრაზები.

4. ადვოკატის პოზიცია:

4.1 ადვოკატის განმარტებით, 2021 წლის თებერვლის დასაწყისში რ. კ.-მა მიმართა საადვოკატო მომსახურებისთვის. რ. კ.-მა ადვოკატს განუცხადა, რომ ჰქონდა უძრავი ქონება თბილისში. კერძოდ, ექსპერტიზის დასკვნით დადგინდა რ. კ.-ის კომერციული ფართის მდებარეობა. თ. ბ.-ს აღნიშნული კორპუსის მიმდებარედ აქვს ავტოსადგომი, რ. კ.-ის კომერციული ფართის უკანა მხარეს.

4.2 რ. კ.-ის კომერციული ფართი დაკავებული იყო თ. ბ.-ის მიერ და ის 5 წლის განმავლობაში უზღუდავდა მას ფართით სარგებლობას. თ. ბ. აქირავებდა 5 წლის განმავლობაში 800 აშშ დოლარად კომერციულ ფართს.

4.3 2021 წლის 10 თებერვალს ის იმყოფებოდა რ. კ.-ის საკუთრებაში არსებულ ფართში და შესაბამისად, ეს არ იყო ფართში „შეჭრა“, რაც სხვის საკუთრებაში უნებართვოდ შესვლას ნიშნავს.

4.4 ადვოკატის განცხადებით, თანხის გამოძალვას ადგილი არ ჰქონია ვინაიდან, რ. კ.-ის ფართი გაქირავებული იყო სხვა პირზე. შესაბამისად, თ. ბ.-ის წარმომადგენელს შესთავაზეს რეალურ მესაკუთრესთან ქირავნობის ხელშეკრულების გაფორმება ვინაიდან, „ბ. ე. ც.“ შეცდომაში იყო შეყვანილი თ. ბ.-ის მიერ და მისი მარწმუნებლის კომერციული ფართი მიქირავებული ჰქონდა მისთვის ისე, რომ აღნიშნულს თავის საკუთრებად მოიაზრებდა. აქედან გამომდინარე, ერთთვიანი ქირავნობის საფასურის გადახდით ,,ბ. ე. ც.-ს“ მიეცა შესაძლებლობა გაეგრძელებინა მუშაობა აღნიშნულ ფართში. მათ ამ დროის განმავლობაში უნდა გაეტანათ საკუთარი ნივთები და გამოეთავისუფლებინათ ფართი. ვინაიდან, უკანონოდ ვეღარ გააგრძელებდა თ. ბ. ფართის გაქირავებას, როგორც მანამდე ახორციელებდა გადაწყვიტა საჩივრით მიემართა კომისიისთვის მის წინააღმდეგ.

II სამოტივაციო ნაწილი

5. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

5.1 ადვოკატი ფ. მ. არის ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის'' წევრი /სიითი №/ სპეციალიზაცია - საერთო სპეციალიზაცია. ადვოკატის ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე ადვოკატი არ არის გარიცხული ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან“.

5.2 საჩივრის ავტორმა თ. ბ.-მა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2021 წლის 12 მარტს.

3.1 სადაო ქმედება განხორციელდა 2021 წელს. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა - 5 წელი.

6. შემაჯამებელი დასკვნა

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ფ. მ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

7. სამართლებრივი შეფასება:

7.1 საჩივრის ავტორის პრეტენზიები გამოიხატა შემდეგში: მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატი ფ. მ. „უკანონოდ შეიჭრა“ მის საკუთრებაში არსებულ ფართში, მიაყენა შეურაცხყოფა, „შანტაჟის და დაშინების“ გზით გამოსძალა ფული.

7.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ ფ. მ.-ის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის შესახებ:

,,საადვოკატო საქმიანობის პრინციპია - კანონიერება“. (,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 3(ა)).

„ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით“. (,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 6(1) მუხლი).

,,ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები'' (,,ადვოკატთა შესახებ'' საქართველოს კანონის მუხლი 5(გ)).

7.3 ადვოკატი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას უნდა მოქმედებდეს კანონიერების პრინციპის დაცვით, რაც გულისხმობს იმას, რომ ადვოკატის სამოქმედო არეალი შეზღუდულია კანონის ფარგლებით. ადვოკატმა ყველა შესაძლო კანონიერი საშუალება უნდა გამოიყენოს კლიენტის საუკეთესო ინტერესების დასაცავად, მისი ინტერესები ნებისმიერი პირის ინტერესებზე მაღლა უნდა დააყენოს და კეთილსინდისიერად უნდა განახორციელოს საადვოკატო საქმიანობა.

7.4 ეთიკის კომისიამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ადვოკატს მისი პროფესიული თავისუფლება იმავდროულად ბოჭავს კლიენტებთან თუ მესამე პირებთან ურთიერთობაში. ეთიკური ვალდებულებები ადვოკატს, სხვა პირთა მსგავსად მინიჭებული გამოხატვის თავისუფლების გათვალისწინებით, როგორც პროფესიის წარმომადგენელს, ავალდებულებს ღირსეულად წარმოაჩინოს პროფესიის სახე ყველა ვითარებაში, ეთიკის კოდექსით მოთხოვნილი მაღალი ზნეობრივი სტანდარტის დაცვა პროფესიის კორპორაციულ მიზანს ემსახურება და ეთიკური ვალდებულებების მიზანი არ არის მხოლოდ კონკრეტული ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის მოწესრიგება, არამედ ისწრაფვის ადვოკატის პროფესიისადმი საზოგადოებრივი ნდობის განმტკიცებისაკენ.

7.5 ,...ადვოკატმა პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას უნდა დაიცვას არა მხოლოდ საკუთარი კლიენტის ინტერესები და უფლებები, არამედ პატივი უნდა სცეს პროცესის სხვა მონაწილე პირთა უფლებებს, მათ შორის მოწინააღმდეგე მხარეს.“ (ეთიკის კომისიის 2011 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილება დისციპლინურ საქმეზე 075/10)

7.6 მხარეთა მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებების მიხედვით, ირკვევა, რომ ადვოკატი ფ. მ. წარმოადგენდა საჩივრის ავტორის მოდავე მხარის - რ. კ.-ის ინტერესებს. საჩივრის შინაარსი ეხება თ. ბ.-ს საკუთრებაში არსებული საოფისე ფართში განხორციელებულ ქმედებებს. თავის მხრივ, ადვოკატი, როგორც მოდავე მხარის წარმომადგენელი არ იზიარებს მომჩივანის პოზიციას და უთითებს, რომ მისი მხრიდან ფართში „უკანონო შეჭრას" ადგილი არ ჰქონია. საჩივრის ავტორი უთითებს, რომ ადვოკატ ფ. მ.-ის მიერ „ფულის გამოძალვის" თაობაზე. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებით ირკვევა, რომ მხარეთა შეთანხმებით და მათი ნებაყოფლობით გაფორმდა ხელწერილი, რომლის მიხედვითაც ადვოკატმა ფ. მ.-მ მიიღო 800 ლარი არა თ. ბ.-სგან, არამედ „ბ. ე. ც.-ის" წარმომადგენლისგან, რის სანაცვლოდაც აიღო ვალდებულება რ. კ.-ის არცერთი წარმომადგენელი არ გამოცხადდებოდა ერთი თვის ვადაში „ბ. ე. ც.-ში'' (ხელწერილი 11.02.21).

7.7 შედეგად, დგინდება, რომ მხარეთა შორის სადავო ფართთან დაკავშირებით სასამართლოში მიმდინარეობს დავა. კომისიის კომპეტენციას არ განეკუთვნება შეაფასოს და დაადგინოს სადავო ფართის კუთვნილება, მათ შორის იმსჯელოს ადვოკატის მიერ სადავო ტერიტორიაზე გამოცხადების კანონიერებაზე. განსახილველ შემთხვევაში, ირკვევა, რომ თ. ბ.-მა მიმართა პროკურატურას ადვოკატ ფ. მ.-ის მიმართ, თუმცა საქმე გამოძიების ეტაპზეა და არ დასრულებულა. მოცემულ შემთხვევაში, საქმეში არ არის წარმოდგენილი სარწმუნო მტკიცებულებები, რის საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით ადვოკატის მიერ კანონიერების პრინციპის დარღვევის თაობაზე მსჯელობა.

7.8 კოლეგია მომჩივანის პრეტენზიის თაობაზე, რაც ეხება მისი პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარის - ადვოკატ ფ. მ.-ის მიერ შეურაცხმყოფელი გამონათქვამებით მიმართვას, აღნიშნავს, რომ საჩივრის ავტორი არ უთითებს ფაქტებზე, მათ შორის ადვოკატის მიერ კონკრეტულ ქცევაზე, მის მიერ გამოთქმულ ფრაზებზე, რაც მან ადვოკატის მხრიდან მიიჩნია შეურაცხმყოფელად. მოწმეები უთითებენ კონკრეტულ ფრაზებზე, რაც ადვოკატმა ფ. მ.-მ განაცხადა თ. ბ.-ის მიმართ, თუმცა აღნიშნულზე საჩივარში არ არის მითითებული და წარმოდგენილი არ არის დამდასტურებელი მტკიცებულებები. მომჩივანის მიერ კომისიაში წარმოდგენილი ვიდეოჩანაწერი არ არის დათარიღებული და აღწერილი, თუ სად ხდება მოქმედება. ჩანაწერის მიხედვით, ივარაუდება რომ ადვოკატი ფ. მ. იმყოფება სადავო ტერიტორიაზე, რომელიც მიმართავს სხვას (რომლის იდენტიფიცირება ჩანაწერით ვერ დგინდება). ვიდეოჩანაწერით არ დასტურდება ადვოკატის მიერ მომჩივანისთვის შეურაცხყოფის მიყენების ფაქტი.

7.9 საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი პრეტენზიების, საქმის მასალების, მათ შორის წარმოდგენილი ვიდეოჩანაწერის შესწავლის საფუძველზე, არ არსებობს საკმარისად დასაბუთებული ვარაუდი იმისათვის, რომ ადვოკატ ფ. მ.-ის მიმართ აღიძრას დისციპლინური დევნა.

7.10 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32-ე, 33-ე მუხლებით; დებულების 30.2, 40.1 მუხლით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №009/21 ადვოკატ ფ. მ.-ის მიმართ /სიითი №/ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ია გაბედავა/

კოლეგიის წევრი: /არჩილ ჩოფიკაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/